კვირა, 16 ივლისი 1917 წ. | ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ: თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6. | ფასი 20 კაპ.

ᲔᲞᲔᲚᲐᲕᲘᲚᲘ

№ 29

1917

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: დიქტატურა—„ᲨᲛᲐᲚᲘ. ᲨᲣᲠᲐᲪᲧᲝᲤᲐ—Ი. ᲠᲐᲞᲝᲠᲢᲘ—ᲛᲔᲢᲘᲮᲔᲢᲝᲤᲔᲚᲘ. ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲐᲙᲐᲜᲗᲘᲡ—თᲐᲠᲐᲨᲘ. ᲨᲣᲗᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ—ᲑᲣᲢᲣᲜᲘ. ᲮᲐᲚᲘ ᲰᲓᲜᲘ—ᲙᲐᲮᲘ, ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲖᲣᲚᲮᲐᲠᲣᲚᲘᲡᲜᲘ—ᲫᲐᲛᲘᲐ. ᲨᲐᲠᲐᲓᲐ—Დ ᲑᲔᲥᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲘᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲡᲪᲔᲜᲐ—Კ. Ბ—ᲫᲔ. ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ: მორიგი „ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ“. ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲝᲜᲘᲡᲯᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲔᲚᲔᲑᲐ. ᲬᲘᲠᲢᲘᲚᲘ ᲗᲕᲚᲝᲗ-ᲮᲔᲓᲕᲘᲡᲐ.

ᲛᲝᲠᲘᲒᲘ «ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ»



ᲒᲣᲩᲙᲝᲕ-ᲛᲘᲚᲘᲣᲙᲝᲕᲘ. ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲡ! ᲕᲔᲦᲘᲠᲘᲡᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡᲐᲪ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ. ᲛᲝᲓᲘᲗ, ᲛᲝᲓᲘᲗ, ᲡᲐᲥᲛᲔ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲘᲨᲕᲘᲗᲔᲑᲐ...

დიქტატურა

იმ დროს, როდესაც აივანზე ძვირფასი მეგობარი, ანტიპო, ამოვიდა ჩემი მდგომარეობა კრიტიკულზე ასწილ უკრიტიკულესი გახლდათ.

პირველ ყოვლისა ვსთქვათ ისა, რომ უსაყვარლესი მნათობი მზე, ისეთ მხურვალე გრძნობებს იჩენდა ჩემდამი, რომ მისმა ეშმა არსებითად „დამწვა და დამანელა“. სუნთქვა შემეხუთა, ოფლით დამნამა, მუსკულები მომიდუნა და სხ. და სხვ.

ასეთი მდგომარეობა თავის თავად დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგრამ ჩემს მდგომარეობას ართულებდა კიდევ ერთი გარემოება. სახელდობრ: საჭირო იყო, გინდა-არგინდა, რაიმე სახუმარო ფელეტონის დაწერა. მას შემდეგ, რაც ჩემი ძვირფასი თანამშრომლები გამეფიცენ, ეს ერთი საკითხი რეაქციად მაწევს გულზე.

ჩემი მეგობარი ანტიპო შურდულივით ამოიჭრა აივანზე. ჩვეულებრივის მხიარულებით, შორიდან გაქნევითა და ტაკანით ჩამომართვა ხელი და ჩემს მოდუნებულ ცხოვრებაში სიცოცხლე შეიტანა.

— ოოო! ანტიპოს გაუმარჯოს! — მივესალმე მეგობარს.

— გაგიმარჯოს, მეგობარო! როგორა ხარ? ახალი რა იცი?

— აბა რა უნდა ვიცოდე, ქართული თეატრი რო დაიწვა ეგ შენც გაგებული გექნება.

— კიდევ კარგია ქართული საქმე რო გაინტერესებს. სოციალ-დემოკრატები ხომ საქართველოს...

— ვიცი, ვიცი.

— რა იცი?

— ის ვიცი რომ კარგს არაფერს იტყვი მათზე.

— მე ახლა ისინი არ მაშინებენ.

— რა ამბავია?

— მე ვაცხადებ დიქტატურას!!

— რასა?

— დიქტატურას, მხოლოდ მარტო საქართველოში. დიქტატორი მე თითონ ვიქნები.

— მხარს ვინ გიჭერს?

— ეგ საიდუმლოებაა. მე ვიქნები მხოლოდ ათი წლით დიქტატორი, ვიდრე საქართველოს გავთანასწორებ, ავაყვავებ და გავაბედნიერებ. შემდეგ ან მოკვდები, ან ჩემით დავეჭეშმარიტებ ეუფლ. პირველ რიგში, რასაკვირველია, დაკუდეს, და ავაყვავები ნაციონალურ კითხვას. ეს საქმე სრულიად უბრალოა და მიკვირს ამდენ ხანს რატომ აჭიანურებენ და აძნელებენ — საქართველო ქართველებისთვის — მორჩა და გათავდა. საქართველოს ირგვლივ მაღალ კედელს შემოვაკლებ, მხოლოდ სამს ან ოთხ კარებს დაუუტოვებ: ჩრდილოეთით, სამხრეთით, დასავლეთით და აღმოსავლეთით. შიგნით მარტო ქართველებს დავტოვებ...

მზე თანდათან მეტის ძლიერებით აპერდა და ჩვენი სისხლი მჩქეფარე მოძრაობაში მოჰყავდა. მე საშინლათ მომეწონა ანტიპოს ნაციონალური პროგრამა.

— რუსებს აი ასე ვეტყვი: სამეფო თქვენი ვრცელი და მდიდარია, მხოლოდ პარიადკა ვერ გივარგათ. წადით ძმებო, მოაწესრიგეთ საქმე და იცხოვრეთ. ჩვენ ხელს არ შეგიშლით.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ხელი რომ ვინმემ შეგიშალოს?

— შენ ფიქრი ნუ გაქვს. ყველაფერი მაქვს სახეში მიღებული. პირველ ყოვლისა ნოე ჟორდანიას დავიჭერ და მოვათავსებ ჩემს ახლოს მეტეხის ციხეში!

— როგორ? შენ უკვე აპირობ მეტეხის ციხეში ჩასახლებას?

— უეჭველათ! მე, როგორც დიქტატორი იქ ვაგებ ჩემთვის დიდებულ სასახლეს. საუცხოვო სტრატეგიული პუნქტია. ირგვლივ რამოდენიმე ქვევეზე სახლები უნდა ავაყარო და ბაღი გავაშენო. ნოესაც სწორეთ მეტეხის სასახლეში მივსცემ ერთ ოთახს სამხრეთ მხარეზე მტკვრის პირისაკენ.

— რა თქმა უნდა იქით სჯობია, ნოტიო არ იქნება.

— უკაცრავათ! მე ამას სიმშრალის გულისთვის როდი ვშვრები. მე მინდა რომ ნოე მტკვარს გადაჰყურებდეს, ვინაიდან მტკვარში მეყოლება საუცხოვო ესკადრა ქართული დროშებით და დღე მან უყუროს მათ ლაღ სრიალს საპყრობილის ფანჯრიდან.

სიცხე თანდათან მატულობდა. მზე, თითქო ერთ წერტილს მიებჯინაო, გამაგრდა საშუადღეზე და დაუშინა დედა-მიწას მწვავე სხივები.

— ამასთანავე გახსოვდეს ისიც, — დაიწყო ოფ-

ლის მოწმენდის შემდეგ ანტიპომ,—რომ ნოე ჟორ-
დანიას მივსცემ საკითხავად მხოლოდ ნაციონალურ
საკითხის შესახებ დაწერილ წიგნებს. იჯდეს და
იკითხოს.

— კი მაგრამ რატომ ამ ერთ ნოეს ჩაკიცვდი...

— არა, ნუ გეშინია! დანარჩენ ორს ერევნის
მოედანზე ჩამოვახრჩობ...

— აჰ!

— არა, თითონ მათ კი არ ჩამოვახრჩობ,
არამედ მათ „ჩუჩელოებს". მაგრამ ჩუჩელოს ნამ-
დვილ იმათი გრიმი უნდა ექნეს. თითონ ორიგინა-
ლებს დავსვამ ახლოს და ვაყურებიებ. უცქერონ
და დასტკენ სანახაობით.

— კარგი, მაგრამ რას ერჩი ამ ხალხს?

— იმას ვერჩი რომ ინტერნაციონალ-მინტერ-
ნაციონალს არ დაეხლნებიან და მე კი საქართვე-
ლოში მაგისთვეს ადგილი არ მექნება. სიტყვები:
„ინტერნაციონალი" და „პროლეტარიატი" მოის-
პობა.

— ვსთქვათ არ მოისურვეს თავის ჩამოხრჩობა!

— როგორ თუ არ მოისურვეს: მე, დიქტა-
ტორი თუ მოვისურვებ იმათ რა ნება აქვთ არ
მოისურვონ. ამგვარათ მე ვსწყვეტ ინტერნაციონა-
ლის საკითხს. კარლო ჩხეიძესა და კაკო წერეთელს
ნებას მივსცემ დაბრუნებისას, უკეთე პატიოსან
სიტყვას დასდებენ, რომ ნაციონალ-დემოკრატების
მარცხნივ არ წავლენ.

— მეტი რა გზა ექნებათ, მადლობელი კი არ
დაგრჩებიან?

— ყველაზე უფრო რადიკალურათ ქალთა
საკითხს გადავჭრი.

— აი ეს ჩინებული განზრახვაა.

— საარჩევნო უფლება ქალს ენიჭება ქართუ-
ლი ულუფის არჩევის დროს. უკიდურეს შემთხვე-
ვაში საქმროს არჩევის დროსაც და აგრეთვე საკაბე
მატერიის ყიდვის დროს. პოლიტიკა ქალისათვის
ღმერთს არ გაუჩენია.

— რომ არიან პოლიტიკოსი ქალები, იმათ
რაღას უპირებ.

— ბეერი არ ვიცი და კატო მიქელაძეს, გან-
დეგილს, ეახვახიშვილს-წერეთლისას, ნინო ნაკაში-
ძეს, ნინო ყიფიანს და რამოდენიმე სხვას დავიჭერ.

— უკეთესი ჯერ არაფერი გითქვამს.

— ქართველ ენიანებს მოვაგროვებ ერთად...

— დიდებული საქმეა...

— მოვაგროვებ იმისთვის, რომ მეცადინეოს
ქართული ენა. როცა თითოეულ მათგანს ვეფხის-
ტყაოსანი, ქილილა და დამანა, ვისრამიანი, მე-
ჯღანუაშვილი და დაბადება ზეპირათ ეცოდინება,
მაშინ ნახავ რამდენი წმინდა ნინო მოეკლინება
ჩვენს სამშობლოს.

— იქნება ზოგიერთს თამარაც ჰქვია?

— რა ვუყოთ მერე. საქმით ყველა წმინდა
ნინო იქნება.

— პაპიროზს ვინც ეწევა?

— ჩამოხრჩობა! აქ შებრალება ყოვლად წარ-
მოუდგენელია. ქალი და პაპიროზი ჩემს სადიქტა-
ტურაში ისევე შეურიგებელი იქნება, როგორც
ცეცხლი და წყალი.

— ჩინებულია! ამ საკითხში მე პირდაპირ შე-
გიძლია თანაშემწეთ მიგულვო.

— როგორ? განა შენ სხვა ჩემ მიერ გაკეთე-
ბული საქმე არ მოგწონს?

— არა, მომწონს, რასაკვირველია, მაგრამ ეს
ქალთა საკითხი პარდაპირ გულს მოხედა.

— ათი წლის შემდეგ შენ ამ ჩვენს თფილისს
ვერც კი იცნობ. დავტოვებ მხოლოდ სოლოლაკის
შენობებს. დანარჩენს დავნგრევ და ახალ გეგმაზე
ავაშენებინებ. სოლოლაკში ერთ სახლს შენც გი-
თავაზებ.

— გულწრფელი მადლობა ჩემგან.

— სასახლის ქუჩა უთუოდ უნდა გაგანიერ-
დეს. სომხების ეკლესია, სარაჯიშვილის სახლი და
სხვა შენობები უნდა დაინგრეს, რომ გოლოვინის
ქუჩა, რომელსაც შოთას ქუჩას დავარქმევ, ერთი
სიგანისა იყოს და ამ სახით პარლამენტი, რომლის-
თვისაც უნდა გადაკეთდეს თამამშვილის ქარვასლა,
კარგათ გამოჩნდეს.

— პარლამენტი რა ჯანაბათ გინდა რომ აღარ
ვიცი? დაიწყება პარტიობა და განხეთქილება ხალ-
ხთა შორის.

— დიახაც არა. ათი წლის განმავლობაში მე
მოვახერხებ იმას, რომ ყოველი ქართველი ძმასავით
გრძნობდეს ქართველს. მაგრამ დავუბრუნდეთ სა-
ამშენებლო საკითხს. მადათოვის კუნძულს გავსწ-
მენდ ამ ქოხმახებისაგან და გავაშენებ ზედ მშვე-
ნიერ ბაღს, რომლის შუაგულში იქნება უდიდესი
ძეგლი უდიდესი ქართველი მეფის დავით აღმაშე-

ნებლისა. აგრეთვე მტკვრის ორივე ნაპირას ავყრი სახლებს და ავადგებ მშვენიერ წყლის პირის ქუჩას ბაღებით. ქართველ ინტენრებს ვაიძულებ რამოდენიმე დღის განმავლობაში მოკირწყლონ ქუჩები და მოაწყონ მათი გარეცხის საქმე თუ არ ასრულეს, თავებს დავკრი...

— ძალიან კი ინადვლუბენ!

— რატომაც არ ინადვლებენ. ვსთქვათ თავის მოკრა არ ეძნებათ სანადვლოთ, მაგრამ ამ მშვენიერ ცხოვრებას რომ განშორდებიან, ის არ ეწყინებათ? ინტენერ ქურდიანს წინადადებას მივცემ მტკვარი წყნეთიდან მთაწმინდაზე აიყვანოს და იქიდან ძირს გადმოუშვას, რომ ნიაგარის სანახავად ქართველ ქაცს ამერიკაში სიარული არ დასჭირდეს.

— ეს კარგი იქნება, მაგრამ ხიდეები რომ უწყლოთ დარჩება?

— მარტო მტკვრის ამარა ხომ ვერ ვიქნებით. წყალი საქართველოს საკეროზე მეტი აქვს. შეგვიძლია არაქი სათავიდანვე მტკვარს შევუერთოთ. რათ უნდათ სომხებს იმოდენა მდინარე.

— სომხებს არაფერთ, მაგრამ მაჰმადიანებს ხომ არ შეუძლიათ უმისოდ დარჩენა. ლოცვის წინ უთლოდ ფეხი უნდა დაიბანონ.

— ეგ სხვა საქმეა. ჩვენ და მაჰმადიანები ყოველთვის მოვრიგდებით. უკიდურეს შემთხვევაში შეგვიძლია შავი ზღვიდან გადმოვიყვანოთ არხით საკირო წყალი. ხუთიოდ წლის შემდეგ მთელი ეს განდეგილის მთა ულრანი ტყით იქნება დაფარული და შიგ აურაცხელი ლომები, სპილოები, ვეფხვები და გველ ვეშაპები დაბინავებული.

სიცხემ უზნეოს წერტილს მიაღწია და ალბათ ამისგან გული შემოწუხდა. როცა მოვსულიერდი უკვე საღამო ხანი იყო. ანტიპო ჩემს ლოგინთან იჯდა და კარდონის ნაჭერით შუბლს მიგრილებდა.

ეშმაკი.

ახალ ი ვ ი ნ ი

(პეტროგრადიოზა)

ზურგი ვაქციეთ ძველ ადათ-წესებს,
ჩამოვიბღერტეთ ვით ფეხთა მტვერი,
და ჩვენსა მტარვალს ხალხთ უხუცესებს
გამოვუხურეთ რკინისა „დვერი“.*)
ოქროს კერპები გვეზიზღებოდა,
დავლწეთ, როგორც ქოთნები თიხის,
ვინც გუშინ ჩვენი სისხლით ძღებოდა
დღეს მის სისხლს სწუწნის რწყილები ციხის.
როცა აგვეწვა მუცლისა კანი
მყის გავეწოდეთ ურითიერთს ხელი
ვეკვეთეთ, აღარ ვაყოვნეთ ხანი,
თვითმპყრობელობას გავსჭერით ყელი.
მაგრამ ჩვენ მარტო ეს არ გვეყოფა
კვლავ ბრძოლა, ბრძოლა შეუპოვარი,
და თუ წინ ვინმე გადაგვეღობა
ავქნათ**) ვით ბურაკს აჭქნის „პოვარი“.
მშიერ მღვდლებსავით, ხროვა მდიდრების
დღეს კვლავ ჩვენს ზურგზე სუქდება ძღება,
მაგრამ გვახსოვდეს რომ ჩვენი მტრების
ჰა, დასასრულიც უკვე იწყება.
ჩვენ მოგვასვენებს მხოლოდ საფლავი
გაჭრილი მთვის ჩვენი ხელითა,
და თუ ქელეზზეც ცხვრის შილაფლავი
და შავი ღვინო გიახელითა.
მტარვალ ჯალათებს ჩაკლეთ ლახვარი
სისხლს ვეღარა გვწოვს მეფე ტირანი,
დღეს ხალხის ხელში გამხდარი მჩვარი,
ეს გუშინდელი საბაყირანი.
იმათ აღარ ყავსთ ძველი „წმინდანი“
მოაკლდათ ძალა „უზენაესი“,
ფუჭი შეეკნათ ყოველი ცდანი
ხალიხმა მათ ყველას აუგო წესი.
ცისკრის ფერ ვარსკვლავს გავუღეთ კარი
ჰა, მზის სხივებმაც გაიპეს ბნელი,
რევოლუციის ჰჭრის მძაფრი ქარი
ბრძოლაა, ბრძოლა, უკანასკნელი.
მაშ მედგრად წინ, წინ, მშრომელო ხალხო
გასწი აღთქმისა ქვეყანისაკენ,
დუხჭირ ცხოვრებას აუღე ალღო
და შენი ბედი გასჭედე შენა.

კახი.

*) „დვერი“ — ქართული სიტყვა, ხოდო რუსულად კი მას „კრუბი“ ჰქვია.

**) ავქნა — აკუწა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფისტოფელის რაპორტი ეშმაკისადმი

დაჯდა და წიგნი დახწერა ნი-ვ-ქარხა გაატანა:
ჩვენ ხაკბილოთ კბილი გავკრათ, შენ ეშმა ხარ, მე სატან.

ძ ა ბ ი ბ ი ბ ი ბ ი.

ძმაო, ეშმაკო, სალამი შენდა!
რა რიგ ჭრელია წუთი სოფელი!
ვიდრე უფალი კაცს გააჩენდა,
ღლიაში ჰყავდა მეფისტოფელი.
მეფისტოფელი თუ გინდ ეშმაკი,
ან ეშმაკი და მეფისტოფელი,
ციდან განდევნა წვერებ ცანცარამ
ძირს დაუმკვიდრა მათ სამყოფელი.
მიწა მოგვანდო, თვით ცა დაიპყრო
საქმეა სწორეთ დასაწუნები.
ჩვენ აქ მიწაზე მიტომაცა ვართ,
ხშირად გავროზგოთ „ძმა კაცუნები“.
მათი ცხოვრება, მათი დღეები,
უნდა მოვშხამოთ, უნდა დავთვალოთ,
აჩრდილებივით კუდში მივსდიოთ
ორ ფეხ ცხოველებს და უთვალთვალოთ.
საქართველოში ახლა მოვედი,
ციცხლისა ეტლით მეშვიდე ციდან.
წინა წერილი, ძმაო ეშმაკო,
გამოგიგზავნე საჩქაროთ, გზიდან.
როცა მოვედი თფილის ქალაქში
ველარ ვიშოვე ტრამვაი მალი.
უნდა გაგიტყდე, ძმაო ეშმაკო,
მე დამეშართა საქმე ფატალი.
ტრამვაი დამხვდა, მაგრამ მერე რა,
„კონდუკტორშებზე“ ისხდენ მგზავრები.
ცუდია, როცა გვერდ ჩალეწილი
შენს სამშობლოში დაეგზავრები.
ღმერთმა გაშოროს, ძმაო ეშმაკო,
გვაზავს ლეკსი, კასრაძის თხრობა,
ასე იტყოდა ზურგიელიძე:
„ძნელი საქმეა ახლა მგზავრობა“.
ღმერთმა გაშოროს შენ ერევნელი
„დემოკრატების“ ცრუ პოლიტიკა
სპირდონის „რეჩი“, ე. მალუს სიტყვა,
და რობაქიძის მეტაფიზიკა.
ზურგიელიძე არ მომკდარაო
დიდმა მგოსანმა სთქვა ეს თუ არა.
სანამ „მემკვიდრეთ“ სული უდგიათ,
ზურგიელიძე ჯერ არ მომკვდარა.
ეგ, სხვათა შორის იყოს ნათქვამი,
არ მინდა სიტყვა რო გაგიპრტყელო!
ხუთი წელია რომ არ ფენახა,
მე არც თფილისი, არც საქართველო.
ყური მივუგდე მგზავრთა ლაპარაკს,
ბაასი იყო ავსტრიის ჯარზე,
რუსთა ერიშზე, ხვადაგის ხორცზე
ხან ხატისოვზე, ხან კოშისარზე.
ტყვილს არ გიამბობ, ან ეშმაკისთვის
სიცრუე დღეს რა გასაბედია!
ჩემ გვერდით ქალებს ჰქონდათ ბაასი:
—„ახ რა „დუშკაა“ ჩვენი კედია.“
უჰ, ქა დამიდგეს ორივ თვალები!
ავრეკვე ამბობს ტფილისში მევრი.
ყველა „დუშკაა“, ამბობენ, ყველა
„ნარდონთ პარტიის“ ცენტრალი წევრი.
ქალი საბედოს მათზე უკეთესს,
ამ დუნიაში ვერც კი ინდომებს.
ისინი სწყვეტენ აწ გასაწყვეტსა *)
კონტრაქტებს ჰკრავენ იწყებენ ოქებს.
თურმე ისინი ისაკუთრებენ
ჩვენ საქართველოს წალკოტებს, ველებს.
ხატავენ გეგმებს, მუსრავენ ზუთხებს,
ანაწილებენ მინისტრთ პორტფელებს.
მათ ვინ ედაროს, ან რა თავს იდგებს
ან ხატისოვი დღეს, ან ბაბოვი.
დიდი კაცია კაცუნებს შორის
კიდევ ამბობენ—ეს ვეშაპოვი *)

*) „ბასწყვეტთა“ კუტეგორიაში ნურავინ იგულებს ნურც რწყილებს, ნურც ბადლიჯოებს.

*) გრიგოლ ვეშაპელს სტუდენტობის დროს სადარბაზო ბარათზე ეწერა: გრ. ვეშაპოვი, რადგან რუსის სტუდენტებს ეშინოდათ მისი სახელი.

მ—ელი.

—კიდევ ვინ არის? ჰკითხა ვიღაცამ.
(ქალი შეჩერდა, დაალო პირი.
ამ შეკითხვაზე კაცი რო შეკრთეს
რა უნდა იყოს აქ გასაკვირი).
ჰე სად მვოთვალო ჩემო დაი,
ტასიკო იყავ და თუ გინდ ევა.
ყველა დიდ ყურებს თავს თუ მოუყრი
ვგონებ თფილისშიც არ დაეტევა.
მტკვარს გადმოვედით როგორაც იყო
დიდის რაჯგუნით, ვაი ვაგლახით
და „გოლოვინსკზე“ წამს გადმოვფრინდი
ალექსანდროვის ჩრდილოვან ბაღით.
წინ შემეყარა მე გვამი ვინმე
მრუდე მსვლელობით ღვინით „ნალეში“
აქედან მარტო გამოვემგზავრე
ქართველ ქალების საჩაიეში.
ეს გახლავთ ჩვენი ახალგაზრდობის
(ჯერაც არ ითქმის იმათი ფასი),
მხატვრების ბინა, პარტიათ კლუბი
და პოეტების დიდი პარნასი.
აქ მოვლენ ხოლმე დროს სატარებლათ
მამულიშვილნი, „მამულის მტერნი“,
„ლიპიანების“, და კუჭ მაგარი
მართლ მორწმუნენი და ფილისტერნი.
აქ თავს იყრიან, იკრიბებიან
თვალს წყალს ასმენენ ბანოვანთ მზერით,
კუჭს იფუტებენ უშაქრო ჩაით,
და თვალებს კიდევ ქუჩისა მტვერით.

ქაჩი მეოთხე

როგორ გავხდი მე ნაციონალ დემოკრატი.

აქ უნდა შევდგე, დიდო ეშმაკო,
დიდო მსაჯულო და წინამძღვარო,
ჩემ მცირე რაპორტს მინდა ცოტა რამ
წინა თქმულებაც წინ წაუმძღვარო.
ცივ რუსეთიდან მომავალ მგზავრსა
(ამ ფაქტს მოაპაყარ მკითხველო ყური,)
ნაცნობმა გზაში გამომატანა
მე ზამთრის პალტო, ზამთრის სათბური.
თუმც არ ცივდა, ხელითა თრევას
ვარჩიე ტანზე ჩამეცვა იგი.
კოლეგელ ჭქონდა მას თურქესტანის
როგორც მოითხოვს წესი და რიგი.
აქ ისხდნენ, იმდროს, სპირდონიც,
„მალუც“
ჩაისა სვამდენ, თან ბოლოებდენ
მდიდრულათ ჩაცმულს, უცხოდ ჩამოსულს,
ცნობის მოყვარე თვალს მაყოლებდენ.
როცა გავედი საჩაიდან
თვალებში მტვერი ფასზე შეკვეთა,
წინ გავიარე, უკან გავხედე
ვიღაც აჩრდილი შემომეფეთა.
მითხრა:—უცნობო, შეჩერდი ცოტა,
პარტიის წევრსა მაქვს საკითხავი?
—„გინდა ქვეყანას თქვენ უპატრონოთ,
მამულისათვის გასწიროთ თავი?
გინდათ სიმდიდრე, თფილი ადგილი,
გეტყობათ გიყვართ თფილეულობა,
სოლიდურ სახეს, სოლიდურ პალტოს
არ შვენის ქვეყნის მტერ-ორგულობა“?!.
—მინდა, ვუთხარი, ვფიცავარ ღმერთებს,
და ვის არ უყვარს ცხოვრება ტკბილი!
თფილი ადგილი როგორ არ მიყვარს,
ხედავთ ზაფხულშიც მაცია „თბილი!“ *)
„ყველა ქართველი მამულიშვილი
საკრებულოსა არის სიაში *)
სჩანს ბურტყა ხართ, მაშ ჩაეწერეთ
დაუყონებლივ ჩვენ პარტიაში.
—მაგრამ ბატონო მე რათ გინდევართ,
არ ვიცი წერა, არც ლაპარაკი,
— რავუყოთ მერე, ჩვენს გაზეთშიაც,
ბევრმა არ იცის ხომ სწერენ აკი“?
—არც თუ უფალსა შევუმოსივარ
ძლიერი ნებით ან და გონებით.
—„ისინიც სწერენ სისულელესა
მაგრამ ყველაფერს ზეწითაგონებით“:
—არც მეტყველობა მომეპოვება
მე სამეტინგო საასპარეზო.
—რა ვუყოთ მერე ძლივს ბლუკუნებენ
ჩვენნი შალიკო და ჩვენი რეზო.
„ეკაცისა გული განიზომება
არა თუ სიბრძნით, მხოლოდ ქველობით,
სისულელესა ვინ გაასალებს
ჩვენ გრიგოლსავით მქვერმეტყველობით“.
და წაიყვანეს.
და შემასწავლეს წამსვე სპირდონის
„მამაო ჩვენო“
დანარჩენებზე, ძმაო ეშმაკო,
ნება მომეცი ხვალ მოგახსენო.

მეფისტოფელი.

---

*) სულ ხახმარ ბალტოსე იყო ამბავი.

*) დეპუტატთა საკრებულოს სია ბარდავარ შეიტანეს ნაციონალ დემოკრატებმა თავიანთ სარეგისტრაციო წიგნში. ეს ფაქტია *)

ავტორი.

*) ფრიად სასიამოვნო. **ეშმაკი.**

შეურაცხყოფა

(საამდროვო ხუმრობა)

მოქალაქე*) პეტრე სახლში აღელვებული დაბრუნდა. ნაცვლათ იმისა, რომ მოქალაქე**) სოფოსთან ღიმილით მისულიყო გახუმრებოდა, გაალერსებოდა და შუბლზე მხურვალეთ ეკოცნა, მან ოთახში გამალებული სიარული და კბილების კრაჭუნი დაიწყო.

წარმოიდგინეთ, სოფოსთვის არც კი შეუხედავს!

ნეტა მაინც ჩვეულებისთვის ელალატნოს საბრალო ქალსა და იქვე—ფანჯარასთან არ დახვედროდეს დამჯდარი!

— ჰგავს, რაღაც სწყენი შეხვედრია ჩემს ქმარს, —გაიფიქრა სოფომ და სახეზე შეწუხება დაეტყო.

მისი ექვი მით უფრო გაძლიერდა, რომ პეტრე ქუდის მოხდას არ აპირებდა.

ჩვეულებრივათ ის კარებში შესვლისას იხდიდა ქუდს.

ერთი სიტყვით, ყველაფრიდან ნათლათ სჩანდა, რომ სოფოს სჯულიერი მეუღლე თავის გუნებაზე აღარ იყო.

— რა მოგვიდა, გენაცვალე? ხმის კანკალით ჰკითხა პეტრეს სახე გაფითრებულმა ბალიშის მოზიარემ.

— რა მომივიდა!!.. რა მომივიდა!!.. გამლანძღა! გამათახსირა.. კაცობიდან ფეხი გამომადგმევინა!.. მომკლა, მომკლა, ჩემო სოფო! მომკლა იმ..

— ვინა, გენაცვალე?

— სერაფონმა. იმდენ ხალხში რა არ მიძახა: ძრობა, თხი, ხარი, ვირი, მუტრუკი!.. მაგრამ ამას ვინ ჩივის... ბოლოს სულ მომსპო: ფედერალისტი მიწოდა!

— რას მელაპარაკები!

— დიახ, ფედერალისტი!.. რამდენჯერ წავჩხუბებულვართ. მარა ასე ჯერ... ღმერთო ჩემო! ფედერალისტი!.. სოფო, შენ იცი რა არის ფედერალისტი?.

— როგორ არ ვიცი, [illegible] ხომ არ ვარ!

— თვალი აღარსად გამეკყირება... ეხ!.. სოფიო, ისეთ გუნებაზე ვარ, რომ... სწორეთ გული გამისკდება!

სოფო დაფიქრდა, დაღონდა, გულზე რაღაცამ მწვავეთ უკბინა. ქმარს სანუგეშო ვერაფერი უთხრა.

პეტრეს კიდევ უფრო მეტათ დაეტყო აღელვება. სიარულს უმატა... უცებ ის შეჩერდა, შუბლზე თითი მიიდო, სახე გაუბრწყინდა,-„ვნახოთ, თუ ვერ გადაგიხადო, დაიყვირა და კარში ტყვიასავით გავარდა.

სოფო შეკთა, შეშინდა. „ვაი რომ მოჰკლას და თავიცა და მეც დამღუბოს“ გაიელო გულში და თვალებზე ცრემლი მოადგა. პეტრეს კვალიც კი აღარსად სჩანდა.

. . . . . .

— გადაუხადე. გადაუხადე! შეჰყვირა სირბილისაგან გულ-ამომჯდარმა პეტრემ კარებში და ქუდი ნაგიდისკენ ისროლა, მოდი, ჩემო სოფიო, ერთი გაკოცო მაგ ბროლის შუბლზე, შეკუნტრუშდა ის და ცოლს გრძნობით დაეკონა.

— სოფიკო, გადაუხადე იმ ყურმუსაღლს, მარა როგორ გადავუხადე... იფ! უკეთესი გადახდა ღმერთმა შეარცხვინოს! ცოტა ოდენ, თავ-მოყვარება თუ აქვს, თავი უნდა მოიკლას. შენ ნუ მომიკდე, უნდა მოიკლას. პატიოსან საზოგადოებაში იჯდა და მუსაიფობდა მივედი და პასუხი მოვსთხოვე.

— დაიკარგე აქედან! შენი პასუხისათვის არ მცალიაო!

— როგორ თუ არ გცალია, შენ ბოლშევიკო, შენა! მივაყვირე მე და გამოვიქეცი... როგორ მოგწონს, სოფიკო? ბოლშევიკო მეთქი! მოგეკალი ხომ კაცი. ბოლშევიკო მეთქი! ხა,ხა,ხა,... გადიხარხარა პეტრემ და ტახტზე დაეშვა.

სოფოც ერთობ კმაყოფილი დარჩა ქმრის გმრიელი საქციელით. ის ღიმილით შესცქეროდა სიხარულისაგან აღტყინებულ ოჯახის კაცს და ფიქრობდა: განა არ ვიცოდი, რომ შენს მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩებოდა!

d.



*) ძველათ ბატონი.

**) ძველათ ქალ-ბატონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარჩევნო ციებ-ცხელება

სხვა და სხვა გზით, ერთი მიზნისკენ.

პარიერისტის აკვანზე

1 ნანინანა რევოლიუციის წინად.

ნანა—ნანინა, რამ შეგაშინა
ნანა იყუჩე სახსოვო დედის!..
ძილს ვერ დაგიფრთხობს ჩემი სიცოცხლევ
ღელვილი სიტყვა მემრძოლი ყბედის!..

* * *

ნანა-ნანინა იყუჩე შვილო,
„დუმილი არის პირველი მცნება“
დროება მეფობს და მისსა შარას
გადაუხვიოთ „არ არის ნება“...

* * *

ნანა იყუჩე—გაიფურჩქნები
და კაკარდები დაგიმშვენდება;
ნანა-ნანინა იყუჩე შვილო
და გზა ვარდებით მოგეფინება

2 ნანინა რევოლიუციის შემდეგ

ნანა-ნანინა რამ შეგაშინა—
რამ აგიკრძალა, ნორჩი თვალები?
უკვე არ არის „რაც იყო წინად,
აღარც იქნება, გენაცვალები!..

* * *

ნანა-ნანინა შენც დრო მოგიწყვს
და ტრიბუნაზე გაიჭიმები—
მეტქარე სიტყვით სამშობლოს მტერსა
თავგანწირული შეეტ ჭიდები...

* * *

ნანა-ნანინა რამ შეგაშინა?..
ცეცხლად აღაგზნე ნორჩი თვალები!..
აღარ შემიდრკე შვილო მაშინა—
აღარ დადუმდე გენაცვალები!..

თარაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარჩევნო ციებ-ცხელება

— ამხანაგებო! ნუ თუ ეს საშიშარი ტალღა ჩვენამდეც მოაღწევს და გადაგვრეცხს აქედან.

ფოთის ვითარება.

მეორეთ მოხვდა, ქ. ლაქ ბაბილონის გოდოლში.

მლოცველ მორწმუნეთა (ანუ მომქმედ რეაქ. ციონერთა) წინაშე გამოცხადდა, „მესია“ (ძველათ ნიკოლაძე), რომელმან ღაღად ჰყო:

— შესაძლებელ არს ლოცვითა და მარხულობით სამოთხის მოპოება, ხოლო მოთმინებითა ყოველგვარი ამ ქვეყნიური ბედნიერებისა. თვინიერ ამისა, რქვა უფალმან მონათა თვისთა: საჭირო არს აშენებად ბაბილონის გოდოლისა, ცათამდე მიბჯენილისა, რამეთუ მორწმუნემან ჩემმან თავის ფეხით განვლოს გოდოლი ესე და სიცოცხლითვე დაემკვიდროს წიაღსა შინა ჩემსა, ამინ!

— ამინ, შენ უფალო! — შესძახეს მლოცველებმა ერთხმათ და ერთბაშათ დაეცენ მუხლებზე.

— ნეტარ არიან მორწმუნენი — აღავლინა სულიერმა მოძღვარმა მონათა მიმართ.

—

ნიკოლაძის აზრი შესახებ რუსეთის დიდი რევოლიუციისა.

საარჩევნო სადებიუტო კრებაზე ნიკოლაძემ განაცხადა: ეს რევოლიუცია არ მოუხდენია არც ერთ პოლიტიკურ ჯგუფს, არც პარტიას, არამედ ეს მოხდა როგორც ბუნებრივი მოვლენა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრების ისტორიისაო.

ჩვენი საგენტო ფიქრობს, ნიკოლაძეს თითონ არ მიუღია რევოლიუციაში მონაწილეობა (პირიქითაც) და ამიტომ 1905 წლიდან ვიდრე დღემდის პოლიტიკურ პარტიათა სარევოლიუციო მუშაობა მხედველობიდან გაჰპარვია.

მანვე განაცხადა: სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიების არსებობას დღეს ქვეყნის ბედნიერება არ თხოულობსო.

საგენტო აქაც ფიქრობს ამბ. ნიკოლაძის ჯგუფები და პარტიები (სამინისტრო და ტრესტები) გაუქმდენ, ხოლო არსებულ პოლიტიკურ პარტიებში, როგორც დიდი კაცი, ნიკოლაძე კერ დაეტევა და ამიტომ ზედმეტათ მიჩნიაო.

საგენტოს ქვეყნისათვის საჭიროთ მიჩნია პარტიების არსებობა, ხოლო ნიკოლაძისთვის არაო.

—

დასვენება.

არტელის მუშებმა ექვსი თვით დასასვენებლათ გაგზავნეს ის რამოდენიმე მუშა, რომლებიც საიდუმლოთ მძიმე შრომას ეწეოდენ „ტრუმში“ სხვა და სხვა საქონელის რეკვიზიციის დროს. არტელმა აცნობა აგრეთვე სხვა პორტებს, თუ რამე დაგაკლდეთ ჩვენ სარეკვიზიციო კომისიას შეატყობინეთო.

—

სასყიდელი.

პროფესიონალურ კავშირის საზოგადო კრებამ ტრამვაის ყოფილ „კონტროლიორს“ იმ მოლვაწეობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა კონდუქტორთა შორის ტრამვაის ბილეთების საიდუმლო ოპერაციის მოწყობაში, დაადგინა: კონტროლიორის მოღვაწეობა ეცნობოს საზოგადოებას, ხოლო თვით კონტროლიორი დასასვენებლათ გაიგზავნოს ყაზბეგის მთაზე; კონდუქტორები კი მუშაობისგან განთავისუფლდენ როგორც ორმაგი ბილეთების გაყიდვით დამაშვრალნი.

—

ნუ დაადგებ ძველსა გზასა, ნურცა...

სავაჭო გიმნაზიის მშობელთა წრეს (25 კაცმა, წრეში კი 70 კაცი ყოფილა) ტყემალაძის თავმჯდომარეობით დაადგინა: ხელახლა მოწვეულ იქმნას დირექტორათ ამბ. იაგულოვი.

ეს ამბავი პუნტოგჩიკა წრის თავმჯდომარემ, გ. საბახტარიშვილმა, ვერ დაიფასა და კომიტეტში გაასაჩივრა. კომიტეტმაც ვერ დაიფასა ღვაწლი მშობელთა ჯგუფისა და მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს გადასცა დასაფასებლათ. უკანასკნელმა საკვირველი დაიფასა ყოველივე ეს და ჯილდოთ ტყემალაძეს კომიტეტიდან სამუდამოთ დასვენების ნება დართო, ხოლო დირექტორის მოწვევა განუსაზღვრელ ვადამდე გადასდო, რადგან დირექტორი ბ. ტყემალაძე, როგორც ცნობილი რევოლიუციონერები, ჩინეთში იგზავნებიან ამ დღეებში დამარცხებულ რესპუბლიკის აღსადგენათ და განსამტკიცებლათ.

—

„უმადური“ მუშები.

ხე ტყის ქარხნის პატრონებმა, (გარდა ერთისა) მუშათა ჯანმრთელობის მიზნით ამ ზაფხულში

მუშაობის შეჩერება განიზრახეს და მუშებს საზაფხულოთ წასვლის რჩევა-დარიგება მისცეს. მუშებმა ეს კეთილი სურვილი თავიანთი ხაზინებისა „ლოკაუტათ“ მონათლეს და საბრძოლველათ დაირაზმენ. მოდი და იყავი ამ დროში კეთილი ხაზეინი.

ბუტუნა.



ახალ გაგლეხეგულნი

(უძღვნი ხაშურელ მამეფიშვილებს)

ბეჭანი. ნეტავ ვიცოდე, როგორ დამთავრდება დღევანდელი მიტინგი?!.

კატო. ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო ბეჭან, წასვლისას ისეთი ჭიქა ღვინო გადავაკრავინე ალექსანდრეს, რომ თუ ნებით არა ძალით გაიყვანს ჩვენ პროგრამას.

ბეჭანი. ჭიქით კი არა მამა პაპაჯარ ყანწებით უნდა დაგელევინებინა, იქნებ ის უზრდელი დემოკრატები ამ ჩვენ ხაშურში სამუდამოთ ჩაეჩუმებია.

კატო. მე უთხარი ეხლა ამას დამჯერდი და გამარჯვებული რომ დაბრუნდები შენი ამხანაგებით სულ დუდუკით გაქეიფებ მეთი.

ბეჭანი. მაშ გამარჯვება ჩვენსკენაა.

კატო. თავის თავად ცხადია. მე იმ ვიღაც იმნეიშვილზე მომდის ჯავრი, კომიტეტის სახელით რომ იწერება დღეს ოცდა ხუთ თიბათვეს მიტინგი მაქვს „ბიწის საკითხებზე“ და მობრძანდით საკამათოთო. თავს მოომინება მივეცი, თორემ მე ვიჩვენებდი კომიტეტობას მაგ...

ბეჭანი. ნუ ხარ კატო ენინანი. აბა მითხარი რო ემუშრები რითი გინდა რო უყო რამე! ერთობაშათ ბოქაულ სტრაფინეკებთან არ აფრინო ბიჭები! მუქარა კი არა მადლობელი უნდა იყვე კრებაზე რომ გიბარებენ.

კატო. (გაბრაზებული) როგორ... მე... კნეინა კატო მადლობელი უნდა ვიყო...

ბეჭანი. დაჩუმდი გენაცვალე, გულს ნუ იბოროტებ. რა კი ჩვენებს სადილი შეპირდი უსათუოდ გიიყვანებენ ჩვენ პროგრამას. (შემოდის მათი ქალიშვილი ძალიან დაღონებული, კატო მიგებრდება. ბეჭანი გაშტერებული უყურებს).

კატო. რა იყო, შვილო, რათ ხარ ეგრე დაღონებული? სიცხემ გაწყინა?

ქალ.-შვი. (ტირილით) ჩვენები დამარცხდნენ.

კატო. (სკამზე დაეშვება) უი ჩემს თვალებს.

ბეჭანი. (შუბლზე შემოიკრავს) ვაი ჩემო შერცხვენილო ენიაზობავ.

კატო. მაშ მოკვდენ ჩვენები!..

ქალ. შვი. ჩვენების რა ბრალია, ბევრი იყვარეს, ბევრი თავი იტეხეს: არჩილმა რომ შეამჩნია გლეხები იმათკენ იყვნენ კრიტიკის მაგივრათ აგიტაციას მიყო ხელი: ნახევარი დემოკრატების პროგრამიდან ილაპარაკა რომ როგორმე გლეხები მოეტყუებინა, მაგრამ ახსენა ფეოდერალისტი თუ არა ყორანივით გააშავეს. კონსტანტინეს გული წაუვიდა, ფრონის ღელეში ჩავიყვანეთ და იქ ძლივს მოვბარუნეთ.

კატო. ვაი შვილო, ალბათ წასვლის დროს სამი ყანწის მეტი არ დაულევია (ქალ. შვილს) ტრიფონი არ იყო?

ქალ. შვი. ტრიფონმა სიბრაზით ლაფში ნიკაპამდის ჩამოიტამა და ხელების მტვრევით თითებზე არც ერთი ფრჩხილი არ შერჩენია.

კატო. (ტუჩების კბენით) ისინი რამდენი იყვნენ?

ქალ. შვი. ორნი.

კატო. ორმა ოთხი დაამარცხა, ვაჰმე ჩემო ენეინობავ.

ქალ. შვი. ბოლოს გამარჯვებულებმა მოუწოდეს გლეხებს: ჩვენ მოწინააღმდეგეებს მიწის საკითხებში მასრებზე გავკარით შავები და ვეცადოთ დამფუძნებელ კრებაზე ჩოხები შევამსისიოთო. (შემოდის მოსამსახურე მიტინგიდან დაბრუნებული).

მოსამსახურე. რაშია საქმე კინიაზებო? (ხმას არ სცემენ ჩაიკნევს ხელს და გადის).

კატო. (თვალების წმედით) ბიჭო!

მოსამ. (შემოდის) რა გნებავთ? ბაზარში მგზავნით.

კატო. რას მიქარავ, ბიჭო, ბაზარში რა გინდა?

მოსამ. შავების საყიდლათ ქ-ნო.

კატო. (გაანჩხებული) გაჩ; ;მდი შეხოხონიკა შენა.

მოსამ. ნუ გაცხარდები ქ-ნო; სიცხეა.

კატო. რო მოკვეტეთ ვერ წაიღებთ ვერა იმ მიწებს.

მოსაშ. ჩვენ კი არა ჩვენი პროგრამა წეიღებს.

ქალ-შვი. ჩვენი პროგრამით რომ წეგეღოთ ვითომ გაწყენდათ?

მოსაშ. არა, იქნება გეწყინა ბარიშნა, მარა ჩვენი პაგრამით უფრო მოგვეხდება.

ბეჟანი. (დაღონებული) ამხანაგო სიმონ! აბა რა საკადრისია დაც-ნვა? ვიყოთ ძმურათ და ამხანაგურათ.

მოსაშ. (გაკვირვებული) რაო? წამოგცდა, თუ მე ყურმა მომატყუა.

ბეჟანი. რას გაგიკვირდა შე კაი კაცო, თქვენ პროგრამაში ხომ სწერია რომ ჩვენ ყველა ამხანაგები ვართ?!

მოსაშ. აი მამაშენ თემურაზს აქვს ცხონება. ასეე თქვით ნაღველს რას მიხეთქავთ?

კუტო. (ამოხეწვებით) ვაჰ ჩემო ენეინობავ!

მოსაშ. რას იხამ ქ-ნო გაგიფრინდა, მაგრამ არა უშავს რა, პერეოი სორტის ბლეხობას მოგცემთ!

ძამია.

შარადა

რედაქციას ესთხოვ დაბეჭდვა
ბეერი არ დაგვიანოს,
შარადებს კიდევ გიბოძებთ
ბეჟანაშვილი დიანოს.

—

მინდა შარადა დავსწერო
მკითხველმა თვარ დამიწუნა.
მეც ვსწერო ისე, რომ სწერენ
კოლო, ჩრჩილი და ბუტუნა*)

—

*) ჩანებულია განზრახვა
ნადგაწი კოჭლობს მგერსა.
ჩვენ უკეთესებს მოველოთ
იქეთ და იქეთ კვერსა,

კოლო.

მოვნახოთ ერთი ქალაქი
სცხოვრობს სხვა დ[illegible]
რუს-პოლონელნი, ქართველნი,
უფრო კი ებრაელები;
„ვილგელმი“ დაპატრონდა
იგი თვალ დასაბნელები
ბეერმა დაჭარგა ბრძოლაში:
თავი; ფეხი და ხელები.

—

პირველი ორი ანბანი
გვჭირია—სხვა ურგებია,
მოვნახოთ ეხლა ჩვენ უქმი
რაც ქრისტიანებს რგებია;
ის მარტში უნდა ვიუქმოთ
კანონათ ჩვენ დაგვდებია,
იმ დღისთვის თეეზის ჭერის დროს
ხელები გამცივებია

—

რომ თქვენ მოაგნებთ ამ უქმსა
ვარ სრული დარწმუნებული,
პირველი ასო გვჭირია
სხვა იყოს უკუ გდებული;
ეხლა ტყისაკენ წაბრძანდით
თუ რომ გიქვთ მაგარი გული
იპოვნეთ ერთი ნადირი
ქოთნისგან შეშინებული

—

მსუნაგობაში უგნურმა
დაჭარგა თავის თავია,
დაე დაიხრჩოს ის წყალში
ვინაც მავნე და ავია;
ხორცი იმისი არ ვარგა
მოიხმარება ტყავიო,
პაწა წიგნაკში ხატია—
ბავშვების საკითხავია

—

პირველი ორი ანბანი
შარადისათვის გვჭირია,
ეხლა ერთი რამ მოვძებნოთ
არ არის გასაჭირია;
სახლის წინ ქალს უკავია
კვირის თავი და ჩერია,
რას ართავს გახარებულსა
წუნარათ რომ უმღერს პირია

ეროვნული ბიბლიოთეკა

—

ამა საგნისა სახელი
შესდგება იქვსი ანბნითა,
უკანასკნელი გეპირია
სხვა მოვაშოროთ კალმითა;
ყანაში შუშას ვესტუმროთ
ის შრომობს დღე და ღამითა
ხნავს, მარგლის, თოხნავს საბრალო
და სხვანი ძღება ამითა.

—

მოპირული თოხი მოაქვს
ყანაში სამეჯეურიდან,
და ის რას უყრის ყუაში
ყანა გამარგლოს მან ტყიდგან;
ეს ხე ჯოხისა მსგავსია
გათლილი კაცის ხელიდან
აგი შარადას თლათ უნდა
და რა მოაკლოთ აქიდან.

—

ამა საგანსა მივმატებთ
წინ ერთსა ასოს ჩვენ „ს"-ანსა,
მივიღებთ თანამდებობას
ვინც დღეს არა ჰყავს სადგურსა;
ვინც მატარებლის მოსლის დროს
ჰკბენდა მოსულს და დამხთურსა,
ის უმცროსებთან იყოფდა
ქრთამათ აღებულ ფულებსა.

—

დღეს კი აღარა არსებობს
გაგზავნეს საომარათა,
ჩვენი კეთილი დღე"ბა
მათთვის მობრუნდა მწარათა;
ის ორმოც წლოვანზე მეტი
აგდია ქუჩა—შარათა
ეშმაკის მათრახს უძღვენი
ჩემი პირველი შარადა.

დ. ბეკანიშვილი.



იმერული ცცმნა

(ანუ მოხუც მიხეილის ნაამბობი)

— ასე რო მცოდნოდა რავა ძაღლი შემჭამდა და ჩეეწერებოდი მაგენის პარტიაში? იმ შეჩვენებული დათიკოს ბრალია, არ მომცა საშველი, —მე ქე ვარ ჩაწერილი და შენც ჩეეწერეო, ღვდლებიც ქე არიენ შითო. გულში ვიფიქრე: თუ კი ღვდლები შით არიენ, მე გარეთ რავა დავრჩეთქვა და წავყევი. შევედით კლასში. შეეხედე: პარტიის წევრები უჩინიკების სკამებზე იყდენ. ჩვენი ღვდლეიც იქ ერია იგენთან. ჩვენს წინ ერთი დიდი სთოლი იდგა. ზემოდგან ერთი ვინცხა მოწიფული ღვდელი და ერთი ბარიშნა მოჯდომოდენ სთოლს და რაცხა ქაღალდებს შინჯავდენ. ეს რაცხა არ მეეშნიკა გულში, მარა ვიფიქრე—ვინმე ნათესავი იქნება ამისთქვა. დათიკოს ვკითხე ის ღვდელი ვინ არისთქვა.

— ის ღვდელი დიდი შეგნებული არისო, ერთობის კაცია, კორეკტივნი არის და მასთან კომიტეტის წევრიც არისო. კარგი და პატიოსანი, მეც ეს მინდოდათქვა ვიფიქრე. ბოლოს აწია თავი მაღლა იმ შეჩვენებულმა და გვითხრა:

— თანჯდომარე ეირჩიეთო. ამ დროს ვინცხამ წამოიძახა მექეიი, მექეიი! და ის იყო ღვდლისა და იმ ბარიშნის შუა ჩაჯდა იგი არჩეული კაცი. ეიღო ზარი ხელში და დაუწყო რაწკუნი. მაშინ კი ვიფიქრე—რამ გამაბრიყვა სამოც და ათი წლის კაცი, რომ ამ მასხრებთან ჩეეწერეთქვა. ამ დროს იმ ჩვენმა არჩეულმა კაცმა დეიწყო რიხიანათ ლაპარაკი: —ივდია წესრიგს დეიცავთო, გეიხსნა კრებაო და ვისაც გინდა ლაპარაკი ჩეეწერეთო. ეს პირველი გაგონება იყო ჩემი. ვიფიქრე: ლაპარაკს რა ჩაწერა უნდა თქვა. შენ წარმეიდგინე, სიტყვასაც ვერ იტყოდი იმ ზარეიანს თუ არ თხოვდი ისეთ. რაღა ბევრი გავგრძელო, ბევრი ილაპარაკეს ვინცხეებმა და განაბოლოს წამოდგა ფეხზე ეშეჩვენებული ღვდელი. დაპრაწა თვალები სამი წლის კურო

მოზვერივით, დეიწყო ლაპარაკი მარა რა დეიწყო. ვიფიქრე ახლა ეს კი იტყვის რამე ქრისტიანულსთქვა. მარა მეტი არ იხარა იმის თავმა, იმას კაი არაფელი ეთქვეს. დეიწყო ყმაწვილო: მიცვალებულს ტირილი არ უნდაო, ქელეხი უნდა მოისფოს, კვტარს პურ-ღვინო არ აცხონებსო. ტყვილა უბრალო ხარჯიაო, ღვდელი ვისაც დაპირდება იმან იქირაოს, ძალდატანება არ შეიძლებაო. გააგრძელა ენა იმ შეჩვენებულმა, არ იქნა იმის გაჩერება, სანამ თლათ არ მუთავა. იმან რაც იქ ილაპარაკა ღმერთმა ჩემს მოსისხლე მტერს ნუ გააგონოს. ყველა არც კი ითქმება, ღვთისწინაშე ჩვენი ღვდელი ქე იყო მოწყენილი, როგორც შევატყვე არ ემხრობოდა იმ შეჩვენებულის აზრებს. ბოლოს გვითხრა ხაზეინმა: ვინც არ ხართ მომხრე ქელეხის ხელი ასწიეთ ზეითო. უნდა გითხრა სიმართლე უმრავლესობას არ უუწევია ხელი და ბევრიც ვიყვირეთ: მომხრე ვართთქვა, მარა იმ შეჩვენებულმა წამოიძახა: უმრავლესობა არის მომხრე რომ ქელეხი მოისფოსო და დოურთო დაშტი და დოურთო. იმას სხებმაც მიყვენ და ამ ნაირათ მოსფენ ხვთისაგან დადგენილი სამართალი. ასე იყო ივანე ჩემო წუხანდელი პარტიული კრება, აგია მოსაწონი?

ი ღვდელი არაღის გასაპარკავი, ვინც ამას ქადაქობს? ამას იქით მე იქ იმან ვერ მნახოს, მეტი არ უუდგა გვერდები- იმ შეჩვენებულ ღვდელს იმას!

კ. ბ—ძე.

ჭიათურისათვის

ბატონო ეშმაკო, რომ საშმაკო
საქმე ბევრია, აგი ცხადია.
და რომ ვამხილოთ, სიტყვა ვთქვათ სწორი,
წარმოიდგინეთ ბევრს არ სწადია...
მაგრამ სიბნელე, საქმის სიძნელე,
არ უნდა იყოს ეხლა მალული:
ლუკა ჯ—ას, (რომ ვთქვათ პირდიას),
ერთობ აქვს ტვინი დდს ბრეული;
გიოობს დრესტინე, ეტს—ინნეს ნ-ნე,
საგიეთეთაა კერა ქცეული...
რა ქნას! არ მოსწონთ ეს ახალი დრო,
(ძველშიაც იყვენ გზა დაბნეული).
ერთს უთვალთვალებ, თან ხელს ვაფარებ,
რომ საეშმაკო არ გახდეს ოგიც,
ხოლო, თუ ძველ გზას აედევნება
ვიტყვი მათრახის კერძია ისიც.

კ. ი. ბ. ა.

გამოცანა

ჩვენი ქვეყნის საუნჯეე,
ახალგაზრდა ბატონო!
„დასელობით მოღლილო“
საქართველოს „პატრონო“.
საკვირველი კაცი ხარ,
საკვირველი ფრინველი.
შეგხარის, შენგნით ელის
შვებას შენი სოფელი.
შენ კი ერთ გზას არ ირჩევ,
ღობე ყურეს ედები;
იქ ხარკოვში ყოფნის დროს,
დასელებს ეკედლები.
როს მოდიხარ კახეთში
და იგემებ ღვინოსა,
„საქართველოს პატრონობ“
ეტრფი წმინდა ნინოსა.
თუმც ცარიელ სიტყვებით
ხან დასელობ და ხან კი
ეროვნულ ბურჟუების
ხარ ერთგული მუშაკი,
მაგრამ არც დასელი ხარ,
არც მუშა ეროვნული,
არცდა საზოგადო
საქმით გატაცებული.
შენ სხვა გვარ ხალხს გამსგავსებ—
არც„ ,ჩვენნ, არც „სხვისი“ ხარ.
სადაც მეტი სითბოა
მეგობარიც მისი ხარ.

ჯიბილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ერთობა“

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მ. სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მან. 40 კაპ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაისადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199, Власію Малакіевичу Бохохадзе.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „მანათლებაში“ ოლდს ქუჩა №6.

ყოველ-კვირეული იუმორისტიული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის

ჟურნალის ფასი: 12 თვით 9 მ. —
6 თვით 5 მ. — კ.
3 თვით 2 მ. 50 კ.
1 თვით — 90 კ.

ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ხლაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესებიდა სხვა.

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ეშმაკი, ხოლო გამოცემის საქმეს კანტორა „მანათლება“

რედაქცია სთხოვს როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მომწერლებს რომ მასალები და ფული ამ ადრესზე: გამოიგზავნონ Тифлисъ, С. Р. Таварткиладзе, Ольгинская, 6 поч. ящ. № 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერტილი თვალთახედვისა

— ესეც შენი თავისუფლება! ექამდე თუ ერთი ლაქით ბეჭდავდენ, ეხლა...

რედაქტორი ეშმაკი, სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვ. № 1.